

4
1966

ქართული
ბიბლიოთეკა

№ 16 (1242) თბილისი, აგვისტო, 1966
საქსი
გამოცემის 44-ი წელი
შანი 20 კვ.



სულიკენების საფრთხელი ინვენტარი.

ნ.ს. ვ. ლომუასი

ცნობიანი სახეები

— ჩვენმა ქარხანამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა 10 წლის წინა დონეს, ჩვენ ახლა ვუშვებთ 200-მდე სახის პროდუქციას, დაწყებულს ბუზსახოციდან, გათავებულს რთულ მექანიზმამდე; მაგალითად: ელექტროუთოს, ვენტილატორს და სხვა. ჩვენი ინჟინრები ამჟამად მუშაობენ კიბერნეტიკული მანქანის შექმნაზე. მაგალითად: დგას მანქანა, ჩატენე შიგ ხორცი, ხახვი, ბრინჯი და მიეცი შეკვეთა, მიუშვებ თევზს და ჭამის მეტი არაფერი უნდა!

— ჭამითაც თვითონ ჭამს?

— დასახულია შემდგომი გაუმჯობესება. ერთი სიტყვით, ჩვენი მიღწევები ოქროს ასოებით ჩაიწერება ქარხნის ისტორიაში. სამმართველოს 25 განყოფილებასთან, ტრესტის 20 განყოფილებასთან და მთელ რიგ სხვა ორგანოებთან მჭიდრო კონტაქტით ჩვენ მივალწიეთ შრომის წაყოფიერების ზრდას, წლის განმავლობაში ქარხნის მიერ გაცემულია 2333 ცნობა და შევსებულია სხვადასხვა ფორმა...

— ცნობათა ბიურო გავხდით?

— რეპლიკები შემდეგ, ამხანაგებო! — აცხადებს კრების თავმჯდომარე.

— თუ გავანაწილებთ ამ რიცხვს ქარხნის მუშების რაოდენობაზე, თითო მათგანზე მოვა ოცდათორმეტი მთელი და 33

მეასედი ცნობა, რაც გაცილებით აღემატება გასულ წელს გაცემულ ცნობებს. წლის განმავლობაში დაიწერა 320 აქტი სხვადასხვა კომისიებისა, რომლებიც შემოწმებითა და წინადადებებით ძვირფას დახმარებას უწევდნენ ჩვენს მონოლითურ კოლექტივს. ქარხნის მიერ მიღწეულია ზეგეგმითი ეკონომია ნედლეულში, დაზოგილია 300 კგ ქაღალდი; მაგალითად, წინა წელს თუ სამმართველოს, ტრესტის 45 განყოფილებას და სხვას მივეცი 2122 ცნობა და გავხარჯეთ ერთ ტონამდე ქაღალდი, წელს ეს ციფრი ერთი მესამედით გავხარჯეთ. ჩვენ მივალწიეთ ხარჯვის ეკონომიას სხვა დეტალებშიც, დავზოგეთ საბეჭდი „ლენტი“, მელანი და სხვა. შემოწმებათა და წინადადებათა განხილვაზე გახარჯულია სულ 30.300 კაცსაათი, რაც ეჭვს გარეშე ქმნის გარანტირებული რენტაბელობის პერსპექტივას; ვუსურვებ ჩვენს გვირულ კოლექტივს კიდევ მეტის ვაკეთებას მიმდინარე წელს! ტამი, ამხანაგებო!

ოვაციები დამთავრდა. ბოლოს ერთმა იკითხა:

— როგორ შესრულდა პროდუქციის გამოშვების ვეგმა?

— ვინ უპასუხებს ამ კითხვაზე? — მიმართავს დირექტორი განყოფილების გამგეებს. 3233 გაცემული ცნობის ავტორები დღეობ.

— ამხანაგებო! ჩვენ მოგვცეს დირექტორის მოადგილის შტატი და ჩვენთან მოვლინეს ამხ. გერმან კოზმანიჩი, რომელიც უხელმძღვანელებს წარმოების საკითხებს. ასე რომ, შემდეგ კრებაზე ამხანაგი კოზმანიჩი გიპასუხებთ ამ კითხვაზე. მომავალ კრებაზე მე არ მეცლება, ამხანაგებო!

— მიბრძანდებით სადმე?

— კვალიფიკაციის ამაღლების სამთვიან კურსებზე.

აბ. მუხურაძე

რა უნდა პრაქტიკაში?

ჩვენი დაწესებულება არ ყოფილა ორიგინალური, რადგან მასაც ჰყავდა საკუთარი დირექტორი, ორი მდივანი, მდივნებს — ორ-ორი კურიერი და კურიერებს — თითო შიკრიკი-დამლაგებელი.

რა თქმა უნდა, დაწესებულებას, ამასთანავე, გააჩნდა: სოლიდური შტატი, დირექტორის ფონდი, ანგარიში ბანკში და, რაც მთავარია, საწარმოო გეგმა.

ეს უკანასკნელი იმაში გამოიხატებოდა, რომ ერთმანეთს ვეჯიბრებოდით რაციონალიზატორული წინადადებების გამოგონებაში, ვადარებდით სათანადო ტურნირს განყოფილებებს შორის ორ წრედ, ფინალში გასული წინადადებების მიხედვით ვადგენდით პროექტებს, ვთვლიდით მოგებას და „აფსაიდში“ ვტოვებდით წაგებას.

მაგრამ, ბრაზილიელთა გუნდისა არ იყოს, ჩვენც დაგვატყდა თავს კრიზისი, ერთბაშად ამოიწურა რაციონალიზატორული წინადადებანი და, ტრაგიკულად, რიყეზე დაყრილი თევზებივით ავფართხალდით.

ერთ დღეს გამომიძახა დირექტორმა და ნაკრების მწვრთნელივით გამაფრთხილა: თუ ფორმაში არ შესულხარ და რაიმე ფასიანი წინადადება არ მოგიფიქრებია, შესაძლოა, დაწესებულების შტატიდან სულაც ამოგადგოთ.

ის დღე იყო და, დღენიადაც, იმ თავსატეხს წინადადებაზე ვფიქრობდი. ხუმრობა ხომ არ გახლდათ, ჩემოდენა სტაჟის პატრონს საბადარიგოში მეკრა თავი!

სანთელივით ჩამოვდანი ეს სამფურწანხვარი კაცი.

— ევრიკა! — წამოვიძახე ერთხელ, შუადამისას, — ევრიკა! ნატალია, არის!

— დაიჭირე? — თვალები მოიფშვინტა სახე-გაბადრულმა მუულემ.

— დავიჭირე, მაშ! ლაყუჩებით დავიჭირე!

— დიდი თუა, კირილე, პრემიას თუ მოგცემს დირექტორი?

— პრემიას კი არა, აგვავსებს, ქალო, აგვაშენებს! — შემოგვკარი ტაში.


ავდექი და იმავე დამეს დაწვერე იმ იდეალური წინადადების ტექსტი ორ ცალად. ერთი კონვერტში ჩავდე და სადაც ჯერ არს იქ ვაფრინე. მეორე დირექტორს მივუტანე.

— რაციონალიზატორული წინადადების მოკლე შინაარსი, — დავიწყე რიხიანად და დირექტორმაც მწვრთნელივით შესაბამისი მდგომარეობა მიიღო სავარძელში, — 120.000 მანეთით დაიზოგება ხელფასის ფონდი; ტექნიკურ-ადმინისტრაციული ხარჯები კი — 240.000 მანეთით; დაიცლება და სკოლის ან საბავშვო ბავის მფლობელობაში გადავა 253 კგ. მეტრი ბინის ფართობი; გათავისუფლდება 9 საქალაქო და 27 ადგილობრივი ტელეფონის აბონენტი; თავისუფალი დარჩება 23 სავსებით შრომისუნარიანი მუშაკი (ერთი მათგანი, შესაძლოა, პენსიაშიც გავიდეს). შენიშვნები...

— წყალი!.. — იყვირა დირექტორმა და კაბინეტიდან გამომაგდო.

დ. ასპურაძე

ნაბ. ზ. ფორჩხიძის



— აზიციანტ, ანბანა გაასწორო!



მე, ქვეყანა, გეგა ქვეყანა

ჯერ ცოლმა, მერე სიდედრმა, პირდაპირ, სისხლი გამიშრეს: თავად გაგრაში წაბრძანდნენ, მე, სახლში, მწყემსად დამნიშნეს.

უარს ვეღარ გავბედე, სახლი რომ გვქონდა ზიარი, დავრჩი ოჯახში ობლად, მადნობს ივლისი მზიანი.

ბოლოს, სამსახურს შევჩივე, მოეცათ ჩემთვის საგზური, ისე კი... დასასვენებლად არც ფული შემერჩა, არც გული.

„პროფკომმა“ მხარი ამიბა, ნახა, რომ ფული „გამიჩნდა“, საგზური მომცა უფასოდ, მე მაინც ფასად დამიჯდა.

ცოლ-შვილი — ალთას, მე — ბალთას, მომკლავს იმათი სიშორე. მონასტერს შევეკედლები, პატრონი თუ ვერ ვიშოვნე.

მაგრამ ექსტაზში შესულმა, ზღვით, ქალებით და ბუნებით, გადავივიწყე ასაკი და სხვებს ავყევი ცდუნებით.

არ მახსოვს, მე იმ საღამოს, სნება შემხვდა თუ წელკავი, მე და მანონმა ერთმანეთს, როგორ გამოვდეთ ხელკავი.

ცოლ-შვილის პატრონს, სხვის ცოლთან, აბა, რა მქონდა საერთო? კულტურის სახლი არა აქვთ, სხვა რა ჯანდაბით გავერთო.

ეს, ვინ ამოხსნის ამ კანონს — მის ტყუილსა და მის მართალს, ხან ქმარი გარბის სხვის ცოლთან, ხან ცოლი გარბის სხვის ქმართან.

ს. აბაიშვილი



— ორპაპიკიანი ჩავაგაღე, საათია ვრეკავ ინსტიტუტში და ვერ მოვხვდი!
— ორ პაპიკად გინდა, გიძია, ინსტიტუტში მოვხვდე?!

მე თბილისელი ბიჭი ვარ!

„მე თბილისელი ბიჭი ვარ, საზრიანი და გამგები...“ ჩემი ეს სიმღერა უკვე დიდი ხანია ახმის მთელ ქალაქში, მაგრამ ბევრს ჯერ კიდევ ვერ გააგებინე, რომ საზრიანიც ვარ და გამგებიც. აი პირველი მაგალითი: ჩემი სამუშაო დღე საკმაოდ უცნაურად იწყება: დილის ექვს საათზე ვდგები და, ფიზდაჭურვის მაგიერ, ათ ნომერ ტრამვაისკენ ვიღებ კურსს. არ იფიქროთ, ამას სპორტის სიყვარული მაიძულებს. ასეთ ვარჯიშს აგტობუსსა და ტროლეიბუსშიც ადვილად ჩაატარებს კაცი, ტრამვაი სრულიად არ არის საჭირო, მაგრამ მე ხათრია-ნიც ვარ და დილის ექვს საათზე ტრამვაის ვაგონისკენ სწორედ ხათრი მიმაქანებს. ვის ვეხატრები ასე უცნაურად? ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს. დიახ, ნუ გიკვირთ, ხსენებულმა სამმართველომ, დიდი ხანია, გამოუშვა მუდმივი სამგზავრო ბილეთი,

რომელიც ვარგისია ტრამვაისა და ტროლეიბუსისთვის ერთად. როცა ამ ბილეთს ყიდულობ, თუ შენს საცხოვრებელ უბანში მიდის მხოლოდ ტრამვაი, სამმართველოს ხათრით, ტროლეიბუსით მგზავრობის საფასურიც წინასწარ უნდა გადაიხადო და თუ მართო ტროლეიბუსი მუშაობს შენს უბანში, ისე, როგორც ჩემთან, საბურთალოსზე, ტრამვაით მგზავრობის ფულიც უნდა გაიღო უსათუოდ. რა კარგი წესი იყო ძველად: ერთ ეტლში ქუდს ჩადებდი, მეორეში თვითონ ჩაჯდებოდი! აფსუს, როგორ მოუხდებოდა ტროლეიბუსის სახურავს ჩემი ჩეხური შლაპა! იყავით ჩემსავით ხათრიანები და ამის გამო ნუ გაკიცხავთ ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს. ქვეყნად უმიზეზოდ არაფერი ხდება. საქმე ის არის, რომ ხსენებულმა სამმართველომ დაბეჯითებით გადაწყვიტა აყაროს თბილისის

ორიოდე ქუჩაზე შემორჩენილი ტრამვაის ლიანდაგი და ეს დეაწლმოსილი ტრანსპორტი რომ დავიწყებას ასე ადვილად არ მიეცეს, ახლანდელმა თაობამ რომ კარგად დაიმასხოვროს მისი ხრიგინ-ბრახუნი, განზრახ გვაპარებენ ტრამვაის ბილეთს.



არავითარი ხათრიო, ამბობ შენ, თბილისელი მოქალაქე, და მზად ხარ ათასი საყვედური ერთად გაუგზავნო სამმართველოს. აგტობუსის ბილეთი თუ თვეში 3 მან. და 75 კაპიკი ღირს, ტროლეიბუსში ექვსი მანეთი რად უნდა ვიხადო თვიურად, იტყვი სწრაფად და... მოითმინე, არ გიხდება, არა! იცი თუ არა შენ, რომ ეს ყოველივე ხათრის ბრალია? არ შეგხვედრია ტროლეიბუსში ისეთი შემთხვევა, როცა კონდუქტორს ბილეთის მოცემა ავიწყდება, უნომრო ბილეთს გაძლევს, ან ერთ ნომერს ორად ხევეს? ჰოდა, სწორედ ამ კონდუქტორის ხათრითაა, რომ მუდმივი, ერთთვიური ბილეთების წინასწარ გაყიდვას ხელოვნურად უშლიან ხელს. მე თბილისელი ბიჭი ვარ!..

ბ. ივანიშვილი

ჩვენსი ხალხის ხანა



ბინადარი სახლშეპირველს.

— ახლაც იტყვი, ფიქრს არ ჩამოვლინო?

მას შემდეგ, რაც ჩვიდმეტი წლის გავხდით და, ჩემდა უბედურად, ტანიც ავიყარე, ტრანსპორტში ვეღარ დავმჯდარივარ. ბალღობისას; თურმე, დედის მისვამდა მუხლებზე, ახლა დედის მუხლები რაღას გამიძლებს, დედ-მამის კისერი კიდევ ჰო, მაგრამ მაგის კაცი ვარ მე?!

აი, შვედივარ ნახევრად ცარიელ ტროლეიბუსში და ვვადები ცარიელ ადგილზე.

— ახალგაზრდავ, დაუთმე ადგილი მოხუცს! — დამბდავლა თავზე ერთმა ახმასმა.

ფეთიანდობით წამოვვარდი, მივიხედ-მოვიხედე, მაგრამ ფეხზე მდგომი მოხუცი ვერ დავინახე. მერე მოვკარი თვალი ერთ მოხუცს, ჩემგან ორი ადგილის მოშორებით რომ იჯდა.

მან ახმასს კმაყოფილებით ასე და და ჩაილაპარაკა:

— ვინ მისცა ზრდილობა ახლანდელ ახალგაზრდებს!

ბუსულნით გამოვიცვალე ადგილი.

— რას ბურდღუნებ, ახალგაზრდავ!

— არ მომეშვა ახმასი.

— ამდენი თავისუფალი ადგილია და...

— ეს ადგილები დავარდნილებისა და ფეხხუდგმელების რა, ახლა გაიკე შენ?!

— ვინაა შენი დავარდნილი? — წამოხუტა მოხუცი ახმასს.

— მე შენკენ და შენ მგლისკენ?! — გაუკვირდა ახმასს.

— მგელმა შეგჭამა შენ, თუ კაია! მოხუცმა მე შემომხედა:

— ადგილი და გადაჯექი, სადაც იჯექი. ეს შენზე უფრო უზრდელი ყოფილა, ვიდაცა!

— შენისთანები აფუჭებენ ახალგაზრდებს! — შეუტია ახმასმა მოხუცს და მომიტრიალა: — უყურე, რა უტიფრად მომჩერებია?! ახლავე გადაჯექი უკან!

გადავჯექი. მოხუცს არ ესიამოვნა, ახმასს რომ დაუჯერე:

— უმცროს-უფროსობა არ იცი შენ? მაგია, ბიჭო, მოხუცი თუ მე? ამ წუთში გადმოვჯექი შენს ადგილას!

გადმოვჯექი. გაჩერებასთან ვიდაც მოხუცმა ტროლეიბუსში ამოსვლა დააპირა, მაგრამ, რატომღაც, ისევ გადაიფიქრა. სანამ გადაიფიქრებდა, ახმასი მეტაკა:

— რომ ამოვიდეს, ადგილი არ დაუთმო, თორემ ცხელი ხინკალივით გადაგყლაპავ! სამი გაჩერება შენი გულისთვის გამოვტოვე! — დამამალა.

— რა გინდათ ჩემგან? ვეღარ ვეიდანე უსამართლობა!

— რა გიჭირს შენ იმის ფასი, რომ იჯდე? ახალგაზრდა ხარ, არ გტკივა, არ გტკივა, არ გშია. ფეხზე რომ იყო, ქვეყანა დაიქცევა? — სეტყვასავით დამაყარა ვიდაც მანდილოსანმა.

— ამდენი ცარიელი ადგილია და რატომ უნდა ვიდე? — ვიმართლე თავი.

— რო ვინმე ამოვიდეს, ხომ უნდა ადგე? რას ისდი საორხელოდ საქმეს?

— „გამომიჭირა“ ერთმა.

— რას გადაკიდე, ბიჭო, ეს ხალხი ერთმანეთს? სულ ჩადი და ის იქნება! — მამაშვილურად დამარიგა შუა ხნის მამაკაცი.

მისი დარჩება ჭკუაში დამიჯდა და ოთხი გაჩერებით ადრე ჩავედი აყაყა-ნებული ტროლეიბუსიდან, გაოგნებული გავყვევი გავარდებულ ტროტუარს და არანაკლებ გავარდებულ გულში ვფიქრობდი: ახალგაზრდა რომ ვარ, იმიტომ არა მაქვს უფლება ნახევრადცარიელ ტროლეიბუსში თავისუფალ ადგილზე დავჯდე?!

თუ ასეა, ამაყ ვიკითხავ!

ბ. კლდიაშვილი

ი. ვინოგრადსკი, თ. მალინაჰსკი.

ცოცხალი რიგი

ნახ. ჯ. ლოლუასი

მისი მშვენიერ დღეს კურდღელი ლომთან მივიდა და უთხრა:

— ბატონო ლომო! თხოვნა მაქვს თქვენთან: სახლ-კარი არ გამაჩნია, მიშველეთ რამე!

— რას ჰქვია, არ გაგაჩნია?! ახლავე დაერეკავ, სადაც ჯერ არს და გამოიყოფენ ნაკვეთს...

რასაკვირველია, ცოცხალი რიგით.

დარეკა ლომმა, სადაც ჯერ არს, უბრძანა, რაც საჭირო იყო და... ჩააყენეს კურდღელი ცოცხალ რიგში 1234-ე ნომრად.

„1234-ე?... თითქმის წელიწადს მომიწევს ლოდინი“, — გაუღელვა კურდღელს და ხერხს მიმართა: მერე მშვენიერ დღესვე შევიდა ლომთან.

— ლომო, ძამია, — გაუშინაურდა ერთბაშად, — აღრიცხვაზე კი ამიყვანეს, მაგრამ 1234-ე ნომრად.

— მერე რა, რომ 1234-ე ხარ?!

— ის რომ, ამ ნომრით, ხუთ წელიწადში თუ მომიწევს რიგი. ჩვენ კი, კურდღლები, მოგეხსენებათ, სულ რაღაც სამ წელიწადს ვცოცხლობთ.

— ხედავ, რა სისულელე გამოდის? — ჩაიცინა ლომმა.

— მეც მაგას არ ვჩივი?! მოდი, ვაჟკაცობას გავიციებ, გადაიყვანე იმ ცოცხალი რიგიდან იმავე რიგის რიგგარეშეთა რიგში!

— ახლავე! — დააიძულა ლომმა და ყურმილს ეტაკა.

დარეკა, სადაც ჯერ არს, უბრძანა, რაც საჭირო იყო და გადაიყვანეს უსახლკარო კურდღელი იმ ცოცხალი რიგის 1234-ე ნომრიდან იმავე ცოცხალი რიგის რიგგარეშეთა რიგში 4567-ე ნომრად.

— მაგის ბაჭია ვარ?! — ლამის გაბრუნდა კურდღელი და ისევ მიადგა ლომს.

— მინდოდა პატივი მეცა თქვენთვის, მაგრამ რა გამოვიდა! — შესჩივლა ლომს, —

ახლა მე ვირიცხები იმ ცოცხალი რიგის რიგგარეშეთა რიგში 4567-ე ნომრად. ამას ათი წელიწადი მაინც დასჭირდება.

— ხედავ, რა სისულელე გამოდის? — თავის კანტურით უთხრა ლომმა.

— მეც მაგას არ ვჩივი?! უბრძანე, ვაჟკაცურად, იმ ცოცხალი რიგის რიგგარეშეთა რიგიდან ურიგოთა სიაში გადამიყვანონ.

დარეკა ლომმა და გადაიყვანეს კურდღელი იმ ცოცხალი რიგის რიგგარეშეთა რიგიდან ურიგოთა სიაში 7899-ე ნომრად.

კიდევ ერთხელ მოუნდა საბრალო კურდღელს ლომთან მისვლა, რათა ისევ იმ ცოცხალი რიგში გადაეყვანათ, მაგრამ... გათავდა რიგი. იგი ხომ ცოცხალი იყო!

მაშ, არა და, გაიძვრა კურდღელს დაელოდებოდა, აი!

თარგმნა ბ. ორბეგიძემ



— ახლა მხვამ საბასი არაგველის სდღებრძელოს!

გარსკვლავები



(მინიატურა)

გამთენიისას ელმავლის კვილიმა გამომაღვიძა. „რომელი საათია, ან სად ვარ? — წამილო ფიქრმა. მერე კინოკადრებით გამოვლვა წუხანდელმა ღრუბრამ: ღვინო, არაყი, ისევ ღვინო და თამადის თერთმეტსართულიანი სადღეგრძელოები... წამოდგომა ვცადე, მაგრამ ამაოდ. ერთი ტონა მქონდა თავი.

უეცრად თვალი მოვკარი ვარსკვლავების ციმციმს და მათი დაპყრობის ბავშვური სურვილი დამეუფლა. ძლივ-ძლივობით წამოვიწვი, მარჯვენა ხელი გავიშვირე და... ჰოი, საკვირველებავ! ვარსკვლავები უსიტყვოდ დამემორჩილნენ.

ახლა ისინი ჩემს ხელთ არიან და განავრძობენ ციმციმს... კონიაკის ბოთლზე.

ბ. ერაქი



გასტრონომის მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები.



DIKOBRAZ

ბუჩქნარს და გუგუნიკურს

პატივცემულ ნინაზო! გემახსოვრება, ჩვენ, საბურთალოელები, რამდენ ხანს ვიყავით ღვინის პირველი თანამგზავრისოდენა კინოთეატრ „თანამგზავრის“ ამარა. ალბათ, ისიც გახსოვს, მერე რომ კაი 1200-ადგილიანი კინო „გაზაფხული“ აგვიშენეს, მაგრამ...

აბა, ახლა ის თუ გახსოვს, რომ „გაზაფხულში“ ოდესმე ახალი ფილმი გენახოს?

გვიკვირს და გაგვიკვირებია — რატომ ჰგონია ქალაქის კინოფიკაციის სამმართველოს, რომ ნავთლუღელები და მესამე-მასიველები ჩვენზე უკეთ იცნობენ და აფასებენ, მერღონ მოწრო იქნება, უან გაბენი თუ ჭინა ლოლობრიჭიდა?!

მაშ, ეს საქმეა! ჩვენს „გაზაფხულში“ რომ ყოველდღე ცარიელი სკამებია, „ისანსა“ და „ბათუმში“ — „ჭაზში მხოლოდ ქალიშვილებია“.

კიდევ ერთი: ვტყვით, კინოფიკაციის სამმართველო ჩვენს გემოვნებს არ ენდობა, სახელმწიფო ხაზინას რაღას ერჩის? „გაზაფხულის“ სიცარიელე ხომ 2500 მანეთი უჭდება ყოველდღიურად მას?

ალ. ფოცხიშვილი

«ქორწინებანი», «განქორწინებანი» და გეგმის შესრულებანი

მე და ჩემი მეუღლე პროფესორები არა ვართ და გვყავს ათი შვილი — ხუთი ბიჭი და ხუთი გოგო. ახალგაზრდები აღარა ვართ, მაგრამ ხელოვნებას ბალბობიდანვე ვუხდით ხარკს და არც მოხუცებულობაში ვლაღობთ ტრადიციას — დავდივართ მუსიკალური კომედიის, ოპერისა და ბალეტის, სანკულტურის თეატრებში და, კვირაში ექვსჯერ, პლენანოვის სახელობის კლუბში. ცირკში არ დავ-

დივართ, რადგან იქ ცირკია პირდაპირ! ჩვენი შვილები მხოლოდ და მხოლოდ კინოთეატრებში დადიან და ჩვენ გულზე ვსკდებით, ვინაიდან მათს ასაკში მე და ჩემს მეუღლეს თეატრში ყოველ საღამოს თუ არ გვეძინა, ვთვლემდით მაინც. ჯანდაბას, იარონ კინოში! (კინოც არის და კინოც!), მაგრამ აქ კიდევ ერთ უცნაურობას აქვს ადგილი — ჩვენი ბიჭები მხოლოდ

და მხოლოდ „კომკავშირელში“ დადიან, გოგოები — „ნაკადულში“. მე და ჩემმა მეუღლემ ბევრი ვიფიქრეთ, ვივარაუდეთ, ვიმტვრიეთ თავი და მიზეზს ვერ მივავენით. წლებულს კი, გამოვიწერეთ „ეკრანის ამბები“ და გორდიას ნასკვიც გაიხსნა: „კინოთეატრი „კომკავშირელი“: ორშაბათს, დილით — „შესანიშნა-

ვი შვიდეული“; საღამოს — „როკო და მისი ძმები“; სამშაბათს, დილით — „სამი მუსიკანტი“; საღამოს — „გრაფი მონტე კრისტო...“ „კინოთეატრი „ნაკადული“: ორშაბათს, დილით — „ქორწინება იტალიურად“, საღამოს — „განქორწინება იტალიურად“, სამშაბათს, დილით — „ქორწინება იტალიურად...“

გოგავრი

გაბაგაგაზრდავება იწვინაჰმის წინააღიროლში

სამომდებელი წელს აღარაფერი უკლდა ამბროსის, პირველად რომ გულის შეტევა მოუვიდა. ღვინის სმა მიატოვა, აღარც არაყს ეტანებოდა და ცოლი სისხარულით ცას ეწეოდა. მაგრამ, „გაის“ გავეყარე და „უსი“ შევეყარეო, ასე იყო ამბროსის საქმეც. სამაგიეროდ, მანქანაზე მბეჭდავი ახალგაზრდა არ შეუყვარდა?! შინ გვიან-გვიან დაიწყო მოსვლა და ცოლს ათას ტყუილს ეუბნებოდა: ეს კრებო, ეს ლექციო, ეს კიდევ რაო.

იმ დღეს ჩიტუნია (შეყვარებულს ერქვა, რომელსაც 42 ნომერი ფეხი ჰქონდა) თბილისის ზღვაზე წაიყვანა: წამო, ჩემო ჩიტუნი, შენთან როცა ვარ, თავი ოცი წლის ბიჭი მგონიაო. გააჩერა ტაქსი და ზღვაზე აგრიალდა.

მანქანიდან გადმოსვლისას, ჩიტუნისა რომ აშველებდა ხელს, წელსაგვივით გააკრა რაღაცამ და მერე სახსრებში გადავიდა ტკივილი. ალბათ, იშინაზს გაგახსენდით, გაიფიქრა და არ შეიფერა. ახალგაზრდასავით გადახვია ხელი სატრფოს და ზღვისკენ დაეშენენ.

ჩიტუნია, რასაკვირველია, ჩიტვიტ ჩაიფრინა დაღმართი და ემშაკურად შემოაჩერდა ამბროსის. ამბროსიც დაეშვა თავქვე, მაგრამ ისეთი ქოშინი და გულისცემა აუყარდა, ლამის მიწაზე გაიშვარდა. ნაგზე რომ აბობლდა, აშკარად იგრძნო გულში საშინელი ჩხვლეტა და აუტანელი ტკივილი. თავბრუ დაეხვა.

— მიშველე, ჩიტუნი, ცუდადა ვარ! ვალიდოლი მაქვს ჯიბეში, ჩქარა!
— ერასტოვიჩ, რას ამბობ? არაფერია, მალე გაგივლით! — დაამშვიდა სატრფომი, მაგრამ უდროოდ და უსომოდ შეყვარებულ ამბროსის აღარაფერი ესმოდა.

— ვაიმი, მიშველეთ! — იწივლა ჩიტუნია.
შეიყარა ხალხი, გაჩნდა ექიმიც, ასხურეს წყალი, დაუზილეს გულ-მკერდი, მაგრამ არაფერმა უშველა...

— ქალიშვილო, საით წაიყვანათ მამათქვენი? — ჰკითხა მას ერთმა ახალგაზრდამ.

— ჯანდაბის ორღობეში ვინ მოგახსენათ, რომ მამაჩემია?! არც ვიცი, ვინაა, ნაპირზე ამევიდა და გამეცნო.

თქვა თუ არა ეს, ერთი ხელის დაქნევით გააჩერებინა ვიღაცას საკუთარი „ვოლგა“, ჩასტა მანქანაში და... გაფრინდა ჩიტუნია.

ეთერ შოროლიანი




— ველს თეატრალურზე აბარებ?
— ჰო, ამბობენ, სუფლიორით იქნება ჩაბარებაო



შეხვედრის, მკითხველს მოეჩვენოს, თითქოს დიდი მგოსნის — დავით გურამიშვილის ძეგლი მანქანის ძარაზე დაუდგამთ და სხვა ადგილას გადააქვთ. არა! ძეგლი ისევ თავის ადგილასაა (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შენობის წინ), მაგრამ თავზეხელაღებული ნძლოვლებს, რომლებიც ძეგლებს არაფრად დაგიღვევენ, ისევ ერთი ციციქო ტერიტორია მანქანების დასაუყენებლად ადგილად გაუხდიათ.

მძლოვლები თუ თავზე და სინდისზე ხელაღებული არიან, ავტონსპექციამ მანც დაკიდოს აქ სათანადო ნიშანი.

ერთ მძლოვს, როგორც ჩანს, აქვე განუზრახავს მანქანის მობრუნება და ბეტონის მესერი მოურღვევია.



ნიანგის „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ შემდგენელი კომისია ქედს იხრის უცნობი მთარგმნელ-შემოქმედის ნიჭის წინაშე, რომლის მეოხებითაც თელავის საზაფხულო კინოთეატრის წინ ასეთი აფიშა ვიხილეთ.

აფიშის გულმოდგინე გამოკვლევის შემდეგ, კომისიის წევრთა დიდი ნაწილი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ წარწერის შედგენის დროს ავტორი მიზნად ისახავდა, ავანსად გაეცინებინა მომავალი მაჟორებელი და ამით გაეზარდა „მხ. ფილმი“-სადმი ინტერესი.



მთავარი რედაქტორი
ნოდარ ღუმბაძე

სარედაქციო კოლეგია: ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია,
გ. ნიშნაიძე, ნ. შველიძე, ო. ჭელიძე

საქ. კბ. ცენტრალური
კომიტეტის
გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ეურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“
რედაქციის ნისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განუფილების—3-10-78

ხელმოწ. დასაბ. 9/VIII-1966 წ. ქალ. ზომა 70x108 მმ, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კბ ცკ გამომცემლობის სტანბა № 1, ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 2846 უფ. 05205 ტირაჟი 52000

06-578

ინდექსი 7637
საქართველოს
ბიბლიოთეკის



— რატომ არ ჩამოვიდა მია სპი ლონდონში ფეხბურთის
სათამაშოდ?
— ვიუტნაჟი ისეთი ბრავო მიიღო, ფეხზე ვერ დგა.

ნ.ბ. ბ. ლომიძისა